პრეზიდენტი დიტერ ფ. უხთდორფი
პირველი პრეზიდენტობის
მეორე მრჩეველი

უსაფრთხოდ დაშვება ტურბულენტობის დროს

არც ისე დიდი ხნის წინ მე და ჩემი მეუღლე, ჰარიეტი, ვიყავით აეროპორტში და ვუყურებდით, როგორ ეშვებოდნენ ჩინებული თვითმფრინავები. იყო ქარიანი დღე და ქარის მძვინვარე ნაკადები მათრახივით ურტყამდნენ თვითმფრინავებს, რის გამოც მიახლოებისას თითეული მათგანი იცვლიდა ტრაექტორიას და ზანზარებდა.

როცა ბუნებისა და მანქანის ამ ბრძოლას ვუმზერდით, მე გონებაში ჩემ საკუთარ მფრინავთა ტრენინგს დავუბრუნდი, იმ პრინციპებს, რომლებიც მაშინ ვისწავლე და მოგვიანებით სხვა მფრინავებს შევასწავლე ტრენინგებზე.

“ნუ ებრძვით მართვის საშუალებებს”, - ხშირად ვეუბნებოდი ხოლმე მათ. “წარბიც არ შეიხაროთ; ნუ გადააჭარბებთ. მზერა მიაპყარით გარბენის ბილიკის შუახაზს. თუ სასურველი ბილიკიდან გადაუხვიეთ, უცებ გამოასწორეთ შეცდომა, მაგრამ ზომიერი ქმედებებით. ენდეთ თქვენი თვითმფრინავის პოტენციალს. თავი დააღწიეთ ტურბულენტობას”.

გამოცდილ მფრინავებს ესმით, რომ მათ ყოველთვის არ შეუძლიათ ირგვლივ შექმნილი ვითარების მართვა. მათ არ შეუძლიათ უბრალოდ გათიშონ ტურბულენტობა. ისინი ვერ გააქრობენ წვიმას ან თოვლს. ისინი ვერ უბრძანებენ ქარს ჩადგეს ან შეიცვალოს მიმართულება.

მაგრამ მათ ასევე ესმით, რომ შეცდომაა გეშინოდეს ტურბულენტობის ან ძლიერი ქარის, განსაკუთრებით კი ამის გამო გაშეშების. არც თუ ისე იდეალური ვითარების დროს უსაფრთხოდ დაშვების ხერხია დარჩე სწორ ტრაექტორიაზე და რაც შეიძლება კარგად სრიალით მიჰყვებოდე ბილიკს.

როცა მე თვითმფრინავებს ასე ვუყურებდი, როდესაც ისინი რიგ-რიგობით ემზადებოდნენ დაშვებისთვის და ვიხსენებდი იმ პრინციპებს, რომლებიც ვისწავლე, როდესაც თავად დავფრინავდი, მე დავფიქრდი იმაზე, რა გაკვეთილის მიღება შეიძლებოდა აქედან ჩვენი ყოველდღიური ცხოვრებისთვის.

ჩვენ ყოველთვის ვერ გავაკონტროლებთ ქარიშხალს, რომელიც ცხოვრებამ გზად გამოგვიგზავნა. ზოგჯერ მოვლენები ისე არ ვითარდება, როგორც ჩვენ გვინდა. ჩვენ შეიძლება იმედგაცრუების, ეჭვის, შიშის, მოწყენილობის ან სტრესის ტურბულენტობამ შეგვანჯღრიოს ან გაგვიტაცოს.

ასეთ დროს ადვილია ამ ყველაფერმა ჩაგითრიოს და მთელი ჩვენი ყურადღება პრობლემებმა მიიპყროს. ჩნდება ცდუნება - გადავიტანოთ ყურადღება იმ დროს არსებულ განცდებზე და არა მხსნელზე და ჩვენს მოწმობაზე ჭეშმარიტების შესახებ.

მაგრამ ეს არ არის საუკეთესო ხერხი იმისა, რომ ცხოვრებისეულ სირთულეებში გავიკვალოთ გზა.

ზუსტად როგორც გამოცდილ მფრინავს მთელი ყურადღება გადააქვს არა ქარიშხალზე არამედ ბილიკის ცენტრზე და დაშვების სწორ პოზიციაზე, ასევე ჩვენც მთელი ყურადღება უნდა გადავიტანოთ

ჩვენი რწმენის ცენტრზე - მხსნელზე, მის სახარებაზე, მამაზეციერის გეგმაზე და ჩვენს საბოლოო მიზანზე - უსაფრთხოთ დავუბრუნდეთ ჩვენს ზეციურ დანიშნულების ადგილს. ჩვენ უნდა ვენდოთ ღმერთს და მთლიანად გადავიტანოთ მცდელობები მოწაფეობის გზაზე დარჩენაზე. მზერა, გული და გონება უნდა მივაპყროთ ცხოვრების სათანადო წესს.

ღვთის მცნებების სიხარულით დაცვის მეშვეობით რწმენის გამოვლენა და მამაზეციერის ნდობა მოგვიტანს დიდებას და ბედნიერებას. და თუ დავრჩით ამ გზაზე, ჩვენ ნებისმიერ ტურბულენტობას გავუძლებთ, როგორი ძლიერიც არ უნდა იყოს იგი და უსაფრთხოდ დავბრუნდებით ზეციურ სახლში.

იქნება ჩვენს ირგვლივ ცა მოწმენდილი თუ საშიში ღრუბლებით მოღშული, ჩვენ, როგორც ქრისტეს მოწაფეები, პირველად ვეძიებთ ღვთის სასუფეველს და მის სამართლიანობას, იმის ცოდნით, რომ თუ ასე მოვიქცევით, ყველაფერი დანარჩენი, რაც კი გვჭირდება, საბოლოოდ მოგვეცემა (იხ მათე 6:33).

რაოდენ მნიშვნელოვანი ცხოვრების გაკვეთილია!

რაც უფრო მეტად ჩაგვითრევს სირთულეები, ბრძოლა, ეჭვი და შიში, შესაძლოა მით უფრო გართულდეს მდგომარეობა. მაგრამ რაც უფრო მეტად გადავიტანთ ყურადღებას საბოლოო ზეციურ დანიშნულებაზე და იმ სიხარულზე, რომელიც მოდის მოწაფეობის გზაზე სიარულისა ანუ ღმერთის სიყვარულზე, მოყვასის მსახურებაზე - მით უფრო წარმატებით შევძლებთ სირთულეებისა და ტურბულენტობის დროს გზის გაკვლევას.

ძვირფასო მეგობრებო, არ აქვს მნიშვნელობა, რაოდენ ძლიერად უბერავს მიწიერი ცხოვრების გამოცდილების ქარი, იესო ქრისტეს სახარება ყოველთვის შემოგვთავაზებთ მამაზეციერის სასუფეველში დასაშვებად საუკეთესო ბილიკს.

ამ მოწოდების სწავლება

პრეზიდენტი უხთდორფი გვმოძღვრავს "ვენდოთ ღმერთს და მთლიანად გადავიტანოთ ჩვენი მცდელობები მოწაფეობის გზაზე დარჩენაზე". ჰკითხეთ მას, ვისაც სტუმრობთ, როგორ დარჩნენ ისინი ფოკუსირებულნი "ჩვენს საბოლოო ღვთიურ დანიშნულებაზე და განიცადეს სიხარული მოწაფეობის გზაზე სიარულით" მაშინ, როცა სირთულეების წინაშე აღმოჩნდნენ. მოიწვიეთ ისინი დაფიქრდენ, როგორ შეუძლიათ რთულ მომენტებში გადაიტანონ ყურადღება დამოწმებაზე და ქრისტეზე და ლოცვისეული განწყობით გადაწყვიტონ, როგორ გამოიყენონ ესა თუ ის იდეა ცხოვრებაში.

ახალგაზრდები

ჩემი მოწმობის საფუძველი

ჯენიფერ უივერის მიერ

როცა 16 წლის ვიყავი, ჩვენს სახლში მეგობარი მოვიდა და მისიონერები მოიყოლია. ერთი თვის მერე, პირველი გაკვეთილის შემდეგ, ყოველ ჩემს კითხვას ნათელი პასუხი გაეცა. მე სულიწმინდა ვიგრძენი, რომელიც მოწმობდა გზავნილების ჭეშმარიტებაზე და აღდგენაზე. ეს იყო გრძნობა, რომელიც არასდროს არ გამომიცდია და მე ვიცოდი, რომ ყოველივე ეს იყო ჭეშმარიტი.

თუმცა, არნახული წინააღმდეგობა და მიუღებლობაც ვიგრძენი. მე თავს მარტოდ ვგრძნობდი, ვიყავი დაღლილი და დაბნეული. თუ სწორად ვიქცეოდი, რატომ ვაწყდებოდი ამდენ წინააღმდეგობას? მე არ მესმოდა, როგორ შეიძლებოდა ჩემი სირთულეები ჩემს სასიკეთოდ ყოფილიყო. მისიონერებმა მასწავლეს მარხვა და ლოცვა, სკოლაში ყოფნისასაც კი. როცა ყველაფერი აუტანელი ხდებოდა, მე გულს ვუშლიდი ღმერთს და უმალვე სულიწმინდის ნუგეშს ვგრძნობდი.

ჩემი ნათლობის კვირა სავსე იყო განსაცდელებით. უფროსი სამსახურიდან დათხოვნით დამემუქრა, თუ არ გამოვტოვებდი ნათლობას იმისთვის, რომ ვიღაც შემეცვალა სამსახურში. საბოლოოდ, საავადმყოფოში აღმოვჩნდი თირკმელებში კენჭებით და მშობლებმაც მთხოვეს, სახლიდან წავსულიყავი. ამდენი მოვლენით, რომელიც ჩემს კონტროლს არ ექვემდებარებოდა, მე მხოლოდ ერთადერთი რამ შემეძლო - უფლისთვის მიმემართა.

ყოველი ეს განსაცდელი *მართლაც* ჩემს სასარგებლოდ აღმოჩნდა. მათი მეშვობით მე სახარების დოქტრინა ვისწავლე, რამაც განაპირობა ჩემი მოწმობის საფუძველი.

ავტორი ცხოვრობს იუტაში, აშშ.

© 2016 Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/15. თარგმანი დამტკიცებულია: 6/15. თარგმანი *First Presidency Message, January 2016.* Georgian. 12862 131

ქორწინება დადგენილია ღმერთის მიერ.

ლოცვისეული განწყობით შეისწავლეთ ეს მასალა და ეძიეთ გაიგოთ, თუ რა უნდა გაუზიაროთ სხვებს. რანაირად წარმოადგენს "ოჯახი: მოწოდება მსოფლიოს" თქვენს რწმენას ღმერთში ზრდის და ლოცავს მათ, ვინც თქვენ გაბარიათ, სტუმრად მოსული მასწავლებლის როლში? დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ www.reliefsociety.lds.org..

ნინასწარმეტყველები, მოციქულები და სხვა ხელმძღვანელები კვლავაც საზეიმოდ აცხადებენ, რომ ქორწინება კაცსა და ქალს შორის დაწესებულია ღმერთის მიერ და ოჯახი არის შემქმნელის გეგმის მთავარი ნაწილი.[1]

უხუცესმა დ. ტოდ კრისტოფერსონმა, თორმეტ მოციქულთა ქვორუმიდან, ბრძანა: ოჯახი, რომელიც დაფუძნებულია ქალსა და მამაკაცს შორის ქორწინებაზე, არის საუკეთესო საშუალება ღვთის გეგმის ასაყვავებლად. . . .

". . . არც მე და არც რომელიმე სხვა მოკვდავს შეუძლია ქორწინების ამ ღვთიური წესის შეცვლა".[2]

ახალგაზრდა ქალების გენერალურმა პრეზიდენტმა, ბონი ლ. ოსკარსონმა, თქვა: "ყოველი ადამიანი, მიუხედავად მისი ოჯახური მდგომარეობისა ან შვილების რაოდენობის, შეიძლება იყოს უფლის გეგმის დამცველი, რომელიც აღწერილია საოჯახო მოწოდებაში. თუ ეს უფლის გეგმაა, ეს ასევე უნდა იყოს ჩვენი გეგმა"![3]

აგრძელებს უხუცესი კრისტოფერსონი: "ზოგიერთი თქვენგანი არ არის დალოცვილი ქორწინებით სხვადასხვა მიზეზების გამო, როგორიცაა: უპერსპერქტივობა, იმავე სქესისკენ ლტოლვა, ფიზიკური ან მენთალური ნაკლი ან უბრალოდ წარუმატებლობის შიში. . . . ან თქვენი ქორწინება უკვე დასრულდა. . . . ზოგიერთი თქვენგანი უშვილოა. . . .

"მიუხედავად ამისა, . . . ყველას შეუძლია, ყოველ თაობაში შეიტანოს წვლილი ღვთიური გეგმის განვრცობაში[4]

დამატებითი საკითხავი მასალა წმინდა წერილიდან

დაბადება 2:18–24; 1 კორინთელთა 11:11; მოძღვრება და აღთქმები 49:15–17

ისტორიები ცხოვრებიდან

ძმა ლარი გიბსონმა, ახალგაზრდა მამაკაცთა გენერალური პრეზიდენტობის ყოფილმა პირველმა მრჩეველმა, გაიხსენა, როცა შირლიმ, რომელიც ამჟამად მისი მეუღლეა, თქვა:

"მე შენ მიყვარხარ, რადგან ვიცი, რომ შენ ჩემზე მეტად უფალი გიყვარს'. . . .

"ეს პასუხი გულზე მომხვდა. . . .

". . . [და] მე მინდოდა, რომ მას ყოველთვის ეგრძნო, რომ ყველაზე მეტად მიყვარდა უფალი".[5]

უხუცესი დევიდ ა. ბედნარი, თორმეტ მოციქულთა ქვორუმიდან, გვასწავლიდა: " აღთქმაში დადებულ ქორწინებაში უფალი იესო ქრისტე წარმოადგენს ცენტრალურ ნაწილს". . . . [წარმოიდგინეთ, რომ] მხსნელი მოთავსებულია სამკუთხედის წვეროზე, სადაც ფუძეზე ერთ წვეროზე ქალია და მეორეზე - მამაკაცი. ახლა განიხილეთ, რა ხდება ქალისა და კაცს შორის ურთიერთობებში, როცა ისინი მყარად, ინდივიდუალურად 'მიდიან ქრისტესტან' და ცდილობენ, იყვნენ 'მასში სრულყოფილნი' (მორონი 10:32). მხსნელის მეშვობით და მის გამო, ქალსა და მამაკაცს შეუძლიათ ერთმანეთთან დაახლოვება".[6]

შენიშვნები

1. "ოჯახი: მოწოდება მსოფლიოს," *Liahona,* 2010 წ. ნოემბერი, გვ. 129.
2. დ. ტოდ კრისტოფერსონი "The Power of Covenants", *ლიახონა,* May 2015, გვ. 52.
3. ბონი ლ. ოსკარსონი, "Defenders of the Family Proclamation," *Liahona,* მაისი 2015, 15.
4. დ. ტოდ კრისტოფერსონი, "Why Marriage, Why Family," 52.
5. ლარი მ. გიბსონი, "Fulfilling Our Eternal Destiny," *Ensign,* Feb. 2015, 21–22.
6. დევიდ ა. ბედნარი,"Marriage Is Essential to His Eternal Plan," *ლიახონა,* ივნისი, 2006, გვ.54.

განიხილეთ შემდეგი

როგორ ვცდილობ პირადად მყარად "მოვიდეთ ქრისტესთან"?

© 2016 Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში.
ინგლისურად დამტკიცებულია: 6/15. თარგმანი დამტკიცებულია: 6/15. თარგმანი
Visiting Teaching Message, February 2016. Georgian. 12862 131